

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ

2011 წლის მარტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა საპილოტე კვლევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულების შესწავლის მიზნით.

შერჩევის მოცულობა: 1000 რესპონდენტი – 500 სტუდენტი და 500 აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი.

რესპონდენტთა შერჩევის წესი: შემთხვევითი შერჩევა ფაკულტეტებზე სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილის პროპორციულად.

ძირითადი დასკვნები

- უნივერსიტეტის იმიჯის განმსაზღვრელ არსებით ფაქტორს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ზოგადად სასწავლო პროცესის – შინაარსისა და მომსახურების, როგორც განუყოფელი მთლიანობის – ხარისხი წარმოადგენს:
რეგრესიული ანალიზის მეშვეობით გამოვლინდა, რომ სწორედ ამ ფაქტორით აიხსნება უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულების 47% აკადემიური პერსონალის ჯგუფში (დანარჩენი 53% თითქმის თანაბრად ნაწილდება სამ ფაქტორს შორის და თითოეულის, მათ შორის, ანაზღაურების ხვედრითი წილი 18%-ს არ აღემატება) და 79% სტუდენტებში (დანარჩენი 21% სასწავლო პირობებზე მოდის);
- იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლო პროცესის მსვლელობა ერთ ფაქტორად აღიქმება, ნებისმიერი პრობლემური სიტუაცია ასოცირდება არა მხოლოდ უნივერსიტეტის რომელიმე კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულთან, არამედ მთლიანად უნივერსიტეტთან, განიხილება როგორც, ზოგადად, სასწავლო პროცესის ხარვეზი და უარყოფითად მოქმედებს მისი ხარისხის შეფასებაზე;

1. დემოგრაფიული მონაცემები

1.1. აკადემიური პერსონალი:

სქესი:

1. მდედრობითი _ 65.7%
2. მამრობითი _ 34.3%

ასაკი:

აკადემიური პერსონალის ასაკი 22-დან 80 წლის ჩათვლით ვარირებს. საშუალო ასაკი დაახლოებით 45-50 წელია.

1.1. სტუდენტები:

სქესი:

1. მდედრობითი _ 63.6%
2. მამრობითი _ 36.4%

ასაკი:

სტუდენტთა ასაკი 16-დან 26 წლის ჩათვლით ვარირებს. საშუალო ასაკი დაახლოებით 19 წელია.

2. დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ

უნივერსიტეტისადმი აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებას ძირითადად ოთხი ფაქტორი განსაზღვრავს: სასწავლო პროცესის ხარისხი მთლიანობაში (I ფაქტორი), ურთიერთობები ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან (III ფაქტორი), ანაზღაურება (IV ფაქტორი) და სასწავლო პირობები (II ფაქტორი).

	I ფაქტორი	II ფაქტორი	III ფაქტორი	IV ფაქტორი
დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა	68%	11%	17%	-25%
ბიბლიოთეკა	14%	78%	13%	-17%
კომპიუტერული აღჭურვა	3%	84%	17%	0%
აუდიტორიები	19%	64%	-3%	27%
სასწავლო პროგრამები	52%	29%	8%	34%
სტუდენტთა განათლების ზოგადი დონე	11%	25%	73%	22%
თსუ-ს ადმინისტრაციის აკადემიური პერსონალისადმი დამოკიდებულება	35%	19%	50%	39%
სტუდენტების აკადემიური პერსონალისადმი დამოკიდებულება	10%	2%	79%	2%
შეფასების სისტემა	42%	-2%	42%	-4%
სასწავლო პროცესის ორგანიზება	71%	32%	20%	9%
ადმინისტრაციის საქმიანობა	53%	36%	7%	40%
ანაზღაურება	-2%	-7%	17%	84%
კოლეგებთან ურთიერთობა	66%	-4%	7%	10%

სტუდენტთა დამოკიდებულება კი ნაკლებად დიფერენცირებულია – უნივერსიტეტს ისინი ძირითადად ორი ფაქტორით: სასწავლო პროცესის ხარისხით მთლიანობაში (I ფაქტორი) და სასწავლო პირობებით (II ფაქტორი) აფასებენ:

	I ფაქტორი	II ფაქტორი
მომსახურება	45%	40%
ბიბლიოთეკა	-1%	80%
კომპიუტერული აღჭურვა	7%	80%
აუდიტორიები	26%	48%
სასწავლო პროგრამა	58%	31%
პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია	65%	13%
სტუდენტებისადმი მოპყრობა	70%	3%
შეფასების სისტემა	57%	-7%
სასწავლო პროცესის ორგანიზება	69%	19%
ადმინისტრაციის საქმიანობა	56%	19%


როგორც სტუდენტთა, ისე აკადემიური პერსონალის ჯგუფისათვის უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულებას ყველაზე მეტი ხვედრითი წილით განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხი მთლიანობაში.

მიღებული ფაქტორების მიმართ ჩატარებული რეგრესიული ანალიზის მეშვეობით გამოვლინდა, რომ სწორედ ამ ფაქტორით აიხსნება უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულების 47% აკადემიური პერსონალის ჯგუფში (დანარჩენი 53% თითქმის თანაბრად ნაწილდება სამ ფაქტორს შორის და თითოეულის, მათ შორის, ანაზღაურების ხვედრითი წილი 18%-ს არ აღემატება) და 79% სტუდენტებში (დანარჩენი 21% სასწავლო პირობებზე მოდის).

რეგრესიული ანალიზის შედეგები. აკადემიური პერსონალი.

REGR factor score 1 for analysis	47%
REGR factor score 2 for analysis	18%
REGR factor score 3 for analysis	17%
REGR factor score 4 for analysis	18%


შაქტორების ხვედრითი წილი უნივერსიტეტთან დამოკიდებულების განსაზღვრისას პროფესორ-მასწავლებლები



რეგრესიული ანალიზის შედეგები. სტუდენტები.

REGR factor score 1 for analysis	79%
REGR factor score 2 for analysis	21%

ზატორების ხვედრითი წილი უნივერსიტეტთან დამოკიდებულების განსაზღვრისას სტუდენტები



■ სასწავლო პროცესის ხარისხი მთლიანობაში ■ სასწავლო პირობები